# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

# გარემოს დაცვის კომისიის სხდომის

## ოქმი №35

12.02.2019 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

14:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

გარემოს დაცვის კომისიის წევრები: ერეკლე კუხიანიძე (კომისიის თავმჯდომარე), გიორგი ტყემალაძე, ლევან ჯაფარიძე, ლევან ჟორჟოლიანი, გიორგი დოხტურიშვილი, თარაშ შურღაია, ლევან ხაბეიშვილი, ელენე ოზაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

საკრებულოს წევრები:

1. რევაზ სოხაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
2. ბექა დავითულიანი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
3. დავით უთმელიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
4. დავით უჯმაჯურიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
5. ნიკოლოზ ვაჩეიშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
6. გულია გოცირიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
7. ვახტანგ შაქარიშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
8. ქეთევან ჯოხაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

მოწვეული სტუმრები:

1. ალექსანდრე ტოგონიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი;
2. ეკატერინე ცეცხლაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი;
3. გვანცა ნიკოლეიშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი;
4. ლევან ჯღარკავა - შპს „თბილსერვის ჯგუფის" დირექტორი;
5. დაინტერესებული პირები (განმცხადებლები): მ. კურცხალია, გ. ჭეიშვილი, აკ. ბერიშვილი.

სხდომის გახსნამდე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა და ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ ბ-ნმა რევაზ სოხაძემ დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა და აცნობა, რომ მიმდინარე სხდომა

წარიმართება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის სრული დაცვით (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილების მუხლი 30) გარემოს დაცვის, ასევე, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიების ერთობლივი სხდომის ფორმატში.

ბ-ნი რევაზ სოხაძის სიტყვით გამოსვლის შემდეგ, გარემოს დაცვის კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა: ერეკლე კუხიანიძე (კომისიის თავმჯდომარე).

**სხდომის დღის წესრიგი:**

1. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2019 წლის 25 იანვრის №12-03190258-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი/

2. **მიმდინარე საკითხები:**

2.1. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2018 წლის 14 დეკემბრის №12-031834876-03 წერილი - დამატებითი შესწავლის მიზნით გადადებული №01183343677-67 განაცხადი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი/

2.2. „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს და შპს „თბილსერვის ჯგუფს" შორის „თბილისის მყარი ნარჩენების პროექტთან დაკავშირებით" ქვესასესხო ხელშეკრულების გაფორმებაზე თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2019 წლის 12 თებერვლის **№12-03190432-03 წერილი)** - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი:** შპს „თბილსერვის ჯგუფის" წარმომადგენელი/

სხდომის თავმჯდომარე ბ-ნი ერეკლე კუხიანიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

**მოისმინეს დღის წესრიგის პირველი საკითხი** - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2019 წლის 25 იანვრის №12-03190258-03 წერილი)

**სხდომის დღის წესრიგის პირველი საკითხი** წარმოადგინა ქ-ნმა ე. ცეცხლაძემ.

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული (მათ შორის, ტექნიკური ხარვეზებით გამოწვეული) ცვლილებების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 6 წინადადება - №01190153071-67; №06-0118303386-67; №011835653-67; №06-01183472935-67; №01183612325-67; №01183443874-67).

კომისიის სხდომის დამსწრე წევრთა გადაწყვეტილებით, დადგენილების პროექტის განმარტებით ბარათში მითითებული 6 საკითხი (წინადადება) პუნქტობრივად იქნა განხილული.

- განმარტებითი ბარათის „ა" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „ა" პუნქტი) - **ქ. თბილისში, დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ მონაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №№01.72.14.008.293, 01.72.14.008.238; ცვლილების ფართობი: 19 761 კვ.მ.) განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად ზონის ცვლილების შესახებ (№01190153071-67).**

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, **№01190153071-67 განაცხადით**, ქალაქ თბილისში, დიღმის

სასწავლო-საცდელი მეურნეობის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ მონაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №№01.72.14.008.293, 01.72.14.008.238, ცვლილების ფართობი: 19 761 კვ.მ.) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. ვინაიდან, აღნიშნულ საკადასტრო ერთეულებზე „ქ. თბილისში, დიღმის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში, მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.008.293, №01.72.14.008.238, ასევე დაურეგისტრირებელი სივრცე) დაბალი ინტენსივობის საცხოვრებელი კომპლექსის (საცხოვრებელი, საზოგადოებრივ-საქმიანი, სასტუმრო) განაშენიანების რეგულირების პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 13 ნოემბრის №328 განკარგულებით დადგენილია ფუნქციური ზონები და მისი განვითარების სხვა საჭირო ინფრასტრუქტურა, ამავე განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, ქალაქ თბილისში, დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ მონაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №№01.72.14.008.293, 01.72.14.008.238, ცვლილების ფართობი: 19 761 კვ.მ.) ფუნქციური ზონის ცვლილება მიზანშეწონილია.

- განმარტებითი ბარათის „ბ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „ბ" პუნქტი) - **ქ. თბილისში, სოფელ დიდ ლილოში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №81.08.07.314, ფართობი: 4 780 კვ.მ.) ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) და სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილების შესახებ. (№06-0118303386-67).**

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, **№06-0118303386-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, სოფელ დიდ ლილოში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №81.08.07.541, ფართობი 4 780 კვ.მ.) მოთხოვნილია ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) და სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება. აღნიშნული ცვლილება განპირობებულია სახელმწიფოს მიერ მიწის ნაკვეთის პრივატიზებითა და მასზე ფარმაცევტული ბაზის მშენებლობით. დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის მიმდებარე ტერიტორიაზე ფუნქციონირებს სხვადასხვა სასაწყობე თუ საზოგადოებრივი ობიექტები; ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2019 წლის 15 იანვრის №18-01190152940 წერილის თანახმად, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი პირობების შესაბამისად სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილება.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, მომხსენებლის მიერ დამატებით აღინიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 23 იანვრის №19.46.86 განკარგულების „ბ" პუნქტის საფუძველზე წარმოდგენილ წინადადებაში (**№06-0118303386-67**) მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის მითითებისას დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, ნაცვლად №81.08.07.541 საკადასტრო კოდისა, დაფიქსირებულია მიწის ნაკვეთის

მომიჯნავედ მდებარე ტერიტორიის საკადასტრო კოდი №81.08.07.314, რაც გასწორებულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 6 თებერვლის №19.124.181 განკარგულებით.

კომისიამ მომხსენებლის ინფორმაცია ტექნიკური ხარვეზის გასწორების თაობაზე ცნობად მიიღო.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, ბ-ნმა გ. ტყემალაძემ ითხოვა №81.08.07.541 საკადასტრო მიწის ნაკვეთის ფაქტობრივი (რეალური) მდგომარეობისა და არსებული ფუნქციური ზონის (ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა; სარეკრეაციო ზონა 3) გავრცელების არეალის ჩვენება www.tas.ge-ს ინტერაქტიული რუკის მეშვეობით.

მომხსენებელმა (ე. ცეცხლაძე) უზრუნველყო №81.08.07.541 საკადასტრო მიწის ნაკვეთის ფაქტობრივი (რეალური) მდგომარეობისა და არსებული ფუნქციური ზონის (ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა; სარეკრეაციო ზონა 3) გავრცელების არეალის ჩვენება ინტერაქტიული რუკის დახმარებით.

წარმოდგენილი ინფორმაციისა და ტერიტორიის ფაქტობრივი (რეალური) მდგომარეობის ამსახველი დოკუმენტაციის გაცნობის შემდეგ, **აზრი გამოთქვეს:**

**ბ-ნმა რ. სოხაძემ** - №81.08.07.541 საკადასტრო მიწის ნაკვეთის მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონის დომინირების შესახებ და წინადადებით მიმართა ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურს, სარეკრეაციო ზონაში შეუსაბამო ნაგებობების არსებობის გამო, საკრებულოში განსახილველად იქნას წარმოდგენილი ფუნქციური ზონების ცვლილების წინადადება.

**ბ-ნი ალექსანდრე ტოგონიძის** განმარტებით, სარეკრეაციო ზონა დომინირებს მხოლოდ №81.08.07.541 საკადასტრო ერთეულის მიმდებარედ არსებულ, ქვედა (სამხრეთ) ზოლში, სადაც განთავსებულია შენობა-ნაგებობები (ძირითადად, სასაწყობე შენობა-ნაგებობები) და კერძო მესაკუთრეების მიმართვის გარეშე ფუნქციური ზონის ცვლილების ინიცირებას საქალაქო სამსახური ვერ მოახდენს. გარდა ამისა, ბ-ნი ალ. ტოგონიძის აზრით, შესაძლებელია, აღნიშნული შენობა ნაგებობები, ფუნქციური დატვირთვით შეესაბამებოდეს სარეკრეაციო ზონაში (სარეკრეაციო ზონა 2, სარეკრეაციო ზონა 3) საგამონაკლისო წესით დაშვებული ნაგებობების სახეობებს.

**ბ-ნმა გ. ტყემალაძემ** ისაუბრა №81.08.07.541 საკადასტრო ტერიტორიის მიმდებარედ არსებულ საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონის (ნაგავსაყრელი) საკითხთან დაკავშირებით, რაც სენსიტიური თემაა დედაქალაქისთვის და დაინტერესდა, სახელმწიფოს მიერ „აწარმოე საქართველოში" პროექტის ფარგლებში, შესაბამისი საწარმოს განთავსებამდე (მშენებლობამდე), №81.08.07.541 საკადასტრო ტერიტორიაზე თუ ჩატარდა კვლევა.

**ბ-ნი ალექსანდრე ტოგონიძის** განმარტებით, აღნიშნულ ტერიტორიაზე არსებული ფუნქციური ზონის - (ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა, სარეკრეაციო ზონა-3) სამრეწველო ზონა 1-ით ცვლილების შემთხვევაში, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის

ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების (საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების) თანახმად, აღნიშნული ტერიტორია განვითარდება მხოლოდ სამრეწველო ზონა 1-ისთვის დადგენილი რეგლამენტის ფარგლებში. ხოლო გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისთვის სახიფათო (მავნე) საწარმოების (მათ შორის, ნაგავსაყრელების) მშენებლობისას ან/და ფუნქციონირებისას, საჭიროა საქართველოს კანონით - გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული პროცედურების გავლა (სულ მცირე, სკრინინგის ჩატარება), რომელიც საქართველოს სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტროს კომპეტენციას განეკუთვნება.

- განმარტებითი ბარათის „გ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „გ" პუნქტი) - **ქალაქ თბილისში, წერონისის ქუჩა №153-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.12.14.067.021) ნაწილზე (ფართობი: 18 კვ.მ.) სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილების შესახებ (№011835653-67).**

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, **№011835653-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, წერონისის ქუჩა №153-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.12.14.067.021) ნაწილზე (ფართობი: 18 კვ.მ.) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) ზოგადი საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება. დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) წარმოადგენს მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის თანდართული რუკის ხარვეზს. სატრანსპორტო ზონა ვრცელდება (გადასულია) კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე და შეჭრილია საკადასტრო საზღვრებში არსებული ღობის შიგნით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ფუნქციური ზონის - სატრანსპორტო ზონა 1-ის შესაბამისი ფუნქციური ზონის (სზ) ცვლილებით გასწორდება ხარვეზი.

- განმარტებითი ბარათის „დ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „დ" პუნქტი) - **ქალაქ თბილისში, ავჭალის გზატკეცილი №43-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №72.12.01.504; ფართობი: 8345 კვ.მ.) საცხოვრებელი ზონა 5-ის (სზ-5) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილების შესახებ (№06-01183472935-67).**

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, **№06-01183472935-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, ავჭალის გზატკეცილი №43-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №72.12.01.504, ფართობი: 8345 კვ.მ.) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 5-ის (სზ-5) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება. არსებული მდგომარეობით, განმცხადებლის დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთი და მისი მიმდებარე ტერიტორია განვითარებულია სამრეწველო

ზონა 1-ის შესაბამისად, ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურსა და ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს" შორის 2015 წლის 15 ოქტომბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №020 ხელშეკრულებით შემოთავაზებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლებული პროექტის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე და მის მიმდებარე არეალზე განსაზღვრულია სამრეწველო ზონა 1 (ს-1).

- განმარტებითი ბარათის „ე" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „ე" პუნქტი) - **ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლება 3, IV მ-რ-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ნაკვეთი: №14/30) (საკადასტრო კოდი: №№01.19.36.014.612; 01.19.36.014.524; 01.19.36.014.710; 01.19.37.005.001; 01.19.36.014.455; 01.19.36.014.638; 01.19.36.014.537; 01.19.37.011.004; 01.19.37.012.023; 01.19.36.014.524; 01.19.36.014.523; 01.19.36.014.698; 01.19.37.016.186; 01.19.36.014.700; 01.19.36.014.523; 81.21.03.017, ცვლილების ფართობი: 1 987 321 კვ.მ.) განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად ფუნქციური ზონის ცვლილების შესახებ (№01183612325-67).**

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, **01183612325-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლება 3, IV მ-რ-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ნაკვეთი: №14/30) (საკადასტრო კოდი: №№01.19.36.014.612; 01.19.36.014.524; 01.19.36.014.710; 01.19.37.005.001; 01.19.36.014.455; 01.19.36.014.638; 01.19.36.014.537; 01.19.37.011.004; 01.19.37.012.023; 01.19.36.014.524; 01.19.36.014.523; 01.19.36.014.698; 01.19.37.016.186; 01.19.36.014.700; 01.19.36.014.523; 81.21.03.017, ცვლილების ფართობი: 1 987 321 კვ.მ.) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. ვინაიდან, აღნიშნულ საკადასტრო ერთეულებზე ქალაქ თბილისის მერის 2013 წლის 9 ოქტომბრის №2151 განკარგულებით შეთანხმებული განაშენიანების გეგმით დადგენილია საპროექტო ტერიტორიის ფუნქციური ზონები და მისი განვითარებისთვის საჭირო სხვა ინფრასტრუქტურა, საკადასტრო მიწის ნაკვეთებზე ფუნქციური ზონის ცვლილება მიზანშეწონილია.

- განმარტებითი ბარათის „დ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „დ" პუნქტი) - **ქალაქ თბილისში, კედიას ქუჩა №10-ში (ყოფ. კახოვსკი) მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №№01.13.06.008.095, 01.13.06.008.088, 01.13.06.008.091, 01.13.06.008.055, 01.13.06.008.064, 01.13.06.008.090, 01.13.06.008.092, 01.13.06.008.074, 01.13.06.008.089, 01.13.06.008.094, 01.13.06.008.061, 01.13.06.008.057, 01.13.06.008.049, საერთო ფართობი: 21 095 კვ.მ.) განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად ფუნქციური ზონის ცვლილების შესახებ (№01183443874-67).**

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, **№01183443874-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, კედიას ქუჩა №10-ში (ყოფ. კახოვსკი) მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №№01.13.06.008.095, 01.13.06.008.088, 01.13.06.008.091, 01.13.06.008.055, 01.13.06.008.064, 01.13.06.008.090, 01.13.06.008.092, 01.13.06.008.074, 01.13.06.008.089, 01.13.06.008.094, 01.13.06.008.061, 01.13.06.008.057, 01.13.06.008.049, საერთო ფართობი: 21 095 კვ.მ.) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. ვინაიდან, აღნიშნულ საკადასტრო ერთეულებზე „ქ. თბილისში, დიდუბის რაიონში, კედიას ქ. №10-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 25 ნოემბრის №379 განკარგულებით დადგენილია ფუნქციური ზონები და მისი განვითარების სხვა საჭირო ინფრასტრუქტურა, განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად ფუნქციური ზონის ცვლილებები წარმოდგენილ საკადასტრო მიწის ერთეულებზე მიზანშეწონილია.

**სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ სხვა შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.**

**დადებითად შეფასდეს და მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული,** ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2019 წლის 25 იანვრის №12-03190258-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 6 წინადადების - №01190153071-67; №06-0118303386-67; №011835653-67; №06-01183472935-67; №01183612325-67; №01183443874-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა, კომისიის სხდომაზე გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 2

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

**დადებითად შეფასდეს და მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული,** ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2019 წლის 25 იანვრის №12-03190258-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის

დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 6 წინადადების - №01190153071-67; №06-0118303386-67; №011835653-67; №06-01183472935-67; №01183612325-67; №01183443874-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა, კომისიის სხდომაზე გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით.

**მოისმინეს დღის წესრიგის მეორე (მიმდინარე) საკითხები:**

**2.1. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ ( ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2018 წლის 14 დეკემბრის №12-031834876-03 წერილი - დამატებითი შესწავლის მიზნით გადადებული №01183343677-67 განაცხადი)**

საკითხის განხილვის დაწყებამდე აღინიშნა, რომ 2018 წლის 18 დეკემბრის გარემოს დაცვის კომისიის სხდომაზე (ოქმი №30) მიღებული გადაწყვეტილებით, დამატებითი შესწავლის მიზნით, დაინტერესებული პირის (განმცხადებლის) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ ფუნქციური ზონის ცვლილების თაობაზე დაზუსტებული და დასაბუთებული ინფორმაციის წარმოდგენამდე, გადადებული იქნა ქალაქ თბილისში, გლდანი I მ/რ-სა და მუხიანის I მ/რ-ს შორის არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №№01.11.13.001.006; 01.11.13.001.030; 01.11.13.001.037; 01.11.13.001.039; 01.11.13.001.041; 01.11.13.001.042; 01.11.13.001.044; 01.11.13.001.045; 01.11.13.001.051; 01.11.13.001.056; 01.11.13.001.057; 01.11.13.001.071; 01.11.13.001.075; 01.11.13.001.087; 01.11.13.001.089; 01.11.13.001.090; 01.11.13.001.091; 01.11.13.001.093; 01.11.13.001.095; 01.11.13.001.099; 01.11.13.001.100; 01.11.13.001.102; 01.11.13.001.103; 01.11.13.001.104; 01.11.13.002.071; 01.11.13.002.078; 01.11.13.002.079; 01.11.13.002.081; 01.11.13.002.216; 01.11.13.002.217; 01.11.13.002.218; 01.11.13.002.219; 01.11.13.002.049. ფართობი: 46 647 კვ.მ.) განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად ფუნქციური ზონის ცვლილების საკითხის განხილვა (განაცხადი **№01183343677-67)**

**სხდომის დღის წესრიგის მეორე საკითხით გათვალისწინებული პირველი წინადადება წარმოადგინა ქ-ნმა ე. ცეცხლაძემ.**

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, **№01183343677-67 განაცხადით** მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. აღნიშნულ საკადასტრო ერთეულებზე „ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონის,

გლდანის I მ/რ-სა და მუხიანის I მ/რ-ს შორის არსებულ ტერიტორიაზე სავაჭრო, საოფისე, ავტო-ვაგზალი, საყოფაცხოვრებო და სხვა მომსახურების ობიექტების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის 2008 წლის დეკემბრის №2109 განკარგულებით დადგენილია საპროექტო ტერიტორიზე ფუნქციური ზონების და მისი განვითარების სხვა საჭირო ინფრასტრუქტურა.

მომხსენებლის მიერ კომისიის სხდომაზე წარმოდგენილი იქნა დამატებითი ინფორმაცია (დასაბუთება) ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონის, გლდანის I მ/რ-სა და მუხიანის I მ/რ-ს შორის არსებულ ტერიტორიაზე განსახორციელებელი ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანშეწონილობის შესახებ. კერძოდ, განახლებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტის სარევიზიო ქალაქთმშენებლობითი (განაშენიანების რეგულირების გეგმები/გეგმარებითი დავალებები) დოკუმენტების სიაში ასახულ ტერიტორიაზე ჩატარდა შესაბამისი კვლევითი სამუშაოები, რომლის საფუძველზე დადგინდა შემდეგი გარემოებანი, კოლექტორი არის შპს „თბილსერვის ჯგუფის“ დაქვემდებარებაში, რომლის დასკვნის საფუძველზეც, ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონის, გლდანის I მ/რ-სა და მუხიანის I მ/რ-ს შორის არსებულ ტერიტორიაზე განსახორციელებელი სამშენებლო სამუშაოები არ შეეხება კოლექტორსა და კოლექტორის მიმდებარე ტერიტორიას.

**შეკითხვები დასვეს:**

**ბ-ნმა რ. სოხაძემ:**

- დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტის სარევიზიო ქალაქთმშენებლობითი (განაშენიანების რეგულირების გეგმები/გეგმარებითი დავალებები) დოკუმენტების სიიდან აღნიშნულ ტერიტორიაზე შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის ამოღების მიზანშეწონილობის შესახებ.
- „ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონის, გლდანის I მ/რ-სა და მუხიანის I მ/რ-ს შორის არსებულ ტერიტორიაზე სავაჭრო, საოფისე, ავტო-ვაგზალი, საყოფაცხოვრებო და სხვა მომსახურების ობიექტების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის 2008 წლის დეკემბრის №2109 განკარგულებაში შესაძლო ცვლილებების (შესწორებების) განხორციელების თაობაზე.

**ბ-ნმა გ. ტყემალაძემ -** ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონის, გლდანის I მ/რ-სა და მუხიანის I მ/რ-ს შორის არსებულ ტერიტორიაზე განსახორციელებელი ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანშეწონილობის შესახებ ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის მოსაზრების თაობაზე.

დასმულ შეკითხვებს უპასუხა ბ-ნმა ალექსანდრე ტოგონიძემ, რომლის განმარტებით, ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურში დაინტერესებული პირის (განმცხადებლის) მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მათ შორის, საპროექტო ტერიტორიაზე ჩატარებული კვლევებისა და დასკვნის წარმოდგენის შედეგად დადგინდა,

რომ კოლექტორის მთელ პერიმეტრზე ვრცელდება სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ1), ასევე, მიმდებარედ, დაწესებულია 10 მეტრიანი დამცავი ზოლი, რომლის ფარგლებშიც განაშენიანება არ მოხდება. შესაბამისად, წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ფაქტობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, საქალაქო სამსახურმა რეკომენდაცია გაუწია ზონის ცვლილებას, არსებული შეზღუდვების გათვალისწინებით. იმის გათვალისწინებით, რომ 2008 წლის დეკემბრის №2109 განკარგულებით შეთანხმებულ განაშენიანების რეგულირების გეგმაში თავიდანვე იყო ასახული როგორც კოლექტორის, ასევე, მისი დამცავი ტერიტორიის საკითხი, აღნიშნულ განაშენიანების რეგულირების გეგმაში, წესით, ცვლილებების შეტანა საჭირო არ იქნება; ხოლო თუ განახლებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შემუშავებაზე პასუხისმგებელ ჯგუფს სხვა შენიშვნები და შეკითხვები არ გააჩნია, საქალაქო სამსახურის აზრით, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტის სარევიზიო ქალაქთმშენებლობითი (განაშენიანების რეგულირების გეგმები/გეგმარებითი დავალებები) დოკუმენტების სიიდან ამოღებულ იქნება „ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონის, გლდანის I მ/რ-სა და მუხიანის I მ/რ-ს შორის არსებულ ტერიტორიაზე სავაჭრო, საოფისე, ავტო-ვაგზალი, საყოფაცხოვრებო და სხვა მომსახურების ობიექტების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის 2008 წლის დეკემბრის №2109 განკარგულება.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი აზრი და პოზიცია, ასევე დააფიქსირა დაინტერესებულმა მხარემ (განმცხადებლები: მ. კურცხალია, გ. ჭეიშვილი, აკ. ბერიშვილი). წარმომადგენლების განმარტებით, არსებობს საექსპერტო დასკვნა, რომლის მიხედვით, ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონის, გლდანის I მ/რ-სა და მუხიანის I მ/რ-ს შორის არსებულ ტერიტორიაზე განსახორციელებული სამშენებლო სამუშაოები, მათ შორის მიწისქვეშა კომუნიკაციების მოწყობა არ განხორციელდება კოლექტორსა და კოლექტორის მიმდებარე (დამცავი) ტერიტორიის არეალში.

**აზრი გამოთქვეს:**

**ქ-ნა ქეთევან ჯოხაძემ** (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუხიანის მაჟორიტარი) და **ქ-ნმა გულია გოცირიძემ** (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გლდანის რაიონის ლუწი მიკრორაიონების მაჟორიტარი) ქალაქ თბილისში, გლდანის I მ/რ-სა და მუხიანის I მ/რ-ს შორის არსებული მიწის ნაკვეთების აქტიური განაშენიანების შემთხვევაში სატრანსპორტო გზისა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის შესამლო გადატვირთვის თაობაზე.

**ბ-ნმა რ. სოხაძემ** აღნიშნა, რომ მიმდინარე სხდომაზე განიხილება მხოლოდ ქალაქ თბილისში, გლდანი I მ/რ და მუხიანის I მ/რ-ს შორის არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №№01.11.13.001.006; 01.11.13.001.030; 01.11.13.001.037; 01.11.13.001.039; 01.11.13.001.041; 01.11.13.001.042; 01.11.13.001.044; 01.11.13.001.045; 01.11.13.001.051; 01.11.13.001.056; 01.11.13.001.057; 01.11.13.001.071; 01.11.13.001.075; 01.11.13.001.087; 01.11.13.001.089; 01.11.13.001.090; 01.11.13.001.091; 01.11.13.001.093; 01.11.13.001.095;

01.11.13.001.099; 01.11.13.001.100; 01.11.13.001.102; 01.11.13.001.103; 01.11.13.001.104; 01.11.13.002.071; 01.11.13.002.078; 01.11.13.002.079; 01.11.13.002.081; 01.11.13.002.216; 01.11.13.002.217; 01.11.13.002.218; 01.11.13.002.219; 01.11.13.002.049. ფართობი: 46 647 კვ.მ.) განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად ფუნქციური ზონის ცვლილების საკითხი და ტერიტორიის შემდგომი განაშენიანება განხორციელდება შეთანხმებული განაშენინების რეგულირების გეგმის შესაბამისად, სათანადო საქალაქო სამსახურების ზედამხედველობის ქვეშ.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ სხვა შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დასვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2018 წლის 14 დეკემბრის №12-031834876-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათის „დ" პუნქტით (თანდართული ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „დ" პუნქტით) წარმოდგენილი ქალაქ თბილისში, გლდანი I მ/რ და მუხიანის I მ/რ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №№01.11.13.001.006; 01.11.13.001.030; 01.11.13.001.037; 01.11.13.001.039; 01.11.13.001.041; 01.11.13.001.042; 01.11.13.001.044; 01.11.13.001.045; 01.11.13.001.051; 01.11.13.001.056; 01.11.13.001.057; 01.11.13.001.071; 01.11.13.001.075; 01.11.13.001.087; 01.11.13.001.089; 01.11.13.001.090; 01.11.13.001.091; 01.11.13.001.093; 01.11.13.001.095; 01.11.13.001.099; 01.11.13.001.100; 01.11.13.001.102; 01.11.13.001.103; 01.11.13.001.104; 01.11.13.002.071; 01.11.13.002.078; 01.11.13.002.079; 01.11.13.002.081; 01.11.13.002.216; 01.11.13.002.217; 01.11.13.002.218; 01.11.13.002.219; 01.11.13.002.049. ფართობი: 46 647 კვ.მ.) განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად ფუნქციური ზონის ცვლილების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 2

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

**დადებითად შეფასდეს და მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული,** ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2018 წლის 14 დეკემბრის №12-031834876-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30

დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათის „დ“ პუნქტით (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „დ“ პუნქტით) წარმოდგენილი ქალაქ თბილისში, გლდანი I მ/რ და მუხიანის I მ/რ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №№01.11.13.001.006; 01.11.13.001.030; 01.11.13.001.037; 01.11.13.001.039; 01.11.13.001.041; 01.11.13.001.042; 01.11.13.001.044; 01.11.13.001.045; 01.11.13.001.051; 01.11.13.001.056; 01.11.13.001.057; 01.11.13.001.071; 01.11.13.001.075; 01.11.13.001.087; 01.11.13.001.089; 01.11.13.001.090; 01.11.13.001.091; 01.11.13.001.093; 01.11.13.001.095; 01.11.13.001.099; 01.11.13.001.100; 01.11.13.001.102; 01.11.13.001.103; 01.11.13.001.104; 01.11.13.002.071; 01.11.13.002.078; 01.11.13.002.079; 01.11.13.002.081; 01.11.13.002.216; 01.11.13.002.217; 01.11.13.002.218; 01.11.13.002.219; 01.11.13.002.049. ფართობი: 46 647 კვ.მ.) განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად ფუნქციური ზონის ცვლილების საკითხის (სულ: 1 წინადადების - **№01183343677-67**) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

2.2. „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს და შპს „თბილსერვის ჯგუფს“ შორის „თბილისის მყარი ნარჩენების პროექტთან დაკავშირებით“ ქვესასესხო ხელშეკრულების გაფორმებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2019 წლის 12 თებერვლის **№12-03190432-03 წერილი)**

**სხდომის დღის წესრიგის მეორე საკითხით გათვალისწინებული** „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს და შპს „თბილსერვის ჯგუფს“ შორის „თბილისის მყარი ნარჩენების პროექტთან დაკავშირებით“ ქვესასესხო ხელშეკრულების გაფორმებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი წარმოადგინა ბ-ნმა ლ. ჯღარკავამ.

მომხსენებლის (ლ. ჯღარკავა) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საქართველოს და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის „თბილისის მყარი ნარჩენების პროექტთან დაკავშირებით“ 2018 წლის 27 ნოემბერს ხელი მოეწერა სასესხო შეთანხმებას 15 000 000 (თხუთმეტი მილიონი) ევროს გამოყოფის თაობაზე. პროექტთან დაკავშირებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის, 2018 წლის 27 ნოემბერს, გაფორმდა საპროექტო ხელშეკრულებები. აღნიშნულის თანახმად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო სასესხო შეთანხმების საფუძველზე და სასესხო შეთანხმების პირობების გათვალისწინებით, თბილისის მუნიციპალიტეტს გადასცემს 15 000 000 (თხუთმეტი მილიონი) ევროს, საპროექტო

ხელშეკრულებით და პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

აღნიშნული დაფინანსება გადანაწილდება სამი მიმართულებით:

პირველი - ნაგავმზიდებისა და კონტეინერების შეძენა;

მეორე - გადამტვირთავი სადგურის მოდერნიზება;

მესამე - გამწმენდი ნაგებობების განთავსება.

მომხსენებლის განმარტებით, თბილისის მუნიციპალური საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონის პროექტი განხორციელდა 2010-2011 წლებში. შესაბამისად, საჭიროა შესაბამისი დანადგარებისა და მთლიანად მყარი ნარჩენების პოლიგონის მოდერნიზება. ამ მიმართულებით, ყველაზე მნიშვნელოვანია, წყლის გამწმენდი სისტემის მოწესრიგება.

**აზრი გამოთქვეს:**

ბ-ნმა ზ. დავითულიანმა, ბ-ნმა რ, სოხაძემ და ბ-ნმა გ. ტყემალაძემ, რომლებმაც აღნიშნეს,რომ თბილისის მყარი ნარჩენების პროექტისთვის მსგავსი დაფინანსების მიღება მისასალმებელი და მნიშვნელოვანია, რადგან დღის წესრიგში დგას რეკულტივაციის, საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე წარმოქმნილი გაზის შემკრებებისა და წყალგამწმენდი სისტემის მოწესრიგების საკითხები.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დასვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2019 წლის 12 თებერვლის **№12-03190432-03** წერილით წარმოდგენილი „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს და შპს „თბილსერვის ჯგუფს“ შორის „თბილისის მყარი ნარჩენების პროექტთან დაკავშირებით“ ქვესასესხო ხელშეკრულების გაფორმებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის დადებითად შეფასებისა და საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 2

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

**დადებითად შეფასდეს და მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული**, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2019 წლის 12 თებერვლის №12-03190432-03 წერილით განსახილველად წარმოდგენილი „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს და შპს „თბილსერვის ჯგუფს“ შორის „თბილისის მყარი ნარჩენების პროექტთან დაკავშირებით“ ქვესასესხო ხელშეკრულების გაფორმებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: ერეკლე კუხიანიძე